განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „მედიცინა“

შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

20 ივლისი -24 აგვისტო, 2021

4 ოქტომბერი, 2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861961 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | მედიცინა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | დიპლომირებული მედიკოსი<br>Medical Doctor |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0912 მედიცინა Medicine |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება<br>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 360 |
| პროგრამის სტატუსი<br>(ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)<br>შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტირებული,<br>უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 6 20 0000599368,<br>2020 წლის 14 ივლისი. |

1 ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

2 უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირინე ფხაკაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ია ფანცულაია - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს (ირინე ფხაკაძე, ია ფანცულაია) დაგვევალა შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ,,მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. ,,მედიცინის" ინგლისურენოვანმა საგანმანათლებლო პროგრამამ (შემდგომში - პროგრამა) აკრედიტაცია გაიარა 2020 წლის 14 ივლისს (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 6 20 0000599368). დაწესებულებამ პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში (შემდგომში - თვითშეფასების ანგარიში) სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარადგინა 2021 წლის 25 მარტს. დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილ იქნა პროგრამა თანმხლები დოკუმენტაციით.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ: ერთსაფეხურიანი ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა - 6 წელი, 12 სემესტრი, პროგრამის მოცულობა - 360 ECTS-ის კრედიტი (აკადემიური წელი - 60 კრედიტი, სემესტრი - 30 კრედიტი); 1 კრედიტი მოიცავს სტუდენტის დატვირთვას 30 ასტრონომიული საათის განმავლობაში, მინიჭებული ხარისხი: დიპლომირებული მედიკოსი (MD), სწავლების ენა: ინგლისური ენა

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების

საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა (ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე) ია ფანცულაია (წევრი) განახორციელა შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ,,მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, აღნიშნული პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით.
პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით და შედეგად მომზადდა წინამდებარე დასკვნა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამის სამსახურებთან და-თქმის თანახმად, წარმოდგენილი საგანამანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციე-ბის ჩარჩოსთან", „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდა აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართე-ბაში:

- **სტანდარტი** 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგ-რამის შესაბამისობა - შეფასდა როგორც **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

  1.1 კომპონენტი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  1.2. კომპონენტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- **სტანდარტი** 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

  2.1. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  2.2. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  2.3. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  2.4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  2.5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

  2.6. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **სტანდარტი** 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

  4.1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  4.2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  4.3. -შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.4. -შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- **რეკომენდაციები**

1.2. ქვესტანდარტი
პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1 თანახმად, *შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა,*

2.1. ქვესტანდარტი

დაზუსტდეს და გახდეს გამჭვირვალე პროგრამაზე მიღების წინაპირობა აპლიკანტებისათვის მათგან დამატებით მოთხოვნილი პრაქტიკული უნარების, მეტყველების, მხედველობისა და სმენის უნარების შეფასების მექანიზმების დაკონკრეტების სახით.

2. 3. ქვესტანდარტი

მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებს განესაზღვროს კონკრეტული მიზნები კურსის შინაარსთან შესაბამისობაში; ამავე კურსებში დაზუსტდეს „ცოდნის" კომპეტენცია მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებში შინაარსის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში მისაღწევი სწავლის

შედეგების შესაბამისი ფორმულირება.

2. 6. ქვესტანდარტი
o მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები კურსის შინაარსის მიხედვით, სხვადასხვა კომპონენტში ქულების დაგროვების მექანიზმი გახდეს გამჭვირვალე სტუდენტისთვის მათთან უკუკავშირის მიზნით;
o რეკომენდირებულია კლინიკურ კურსებში, განსაკუთრებით დამამთავრებელ წელს შემაჯამებელი შეფასების მიზნით დასკვნითი გამოცდების ჩატარება არა მხოლოდ ტესტირებითა და ზეპირი გამოცდით, არამედ ცოდნისა და კლინიკური უნარების შეფასებისათვის შესაბამისი თანამედროვე მეთოდოლოგიით;
o დაზუსტდეს რიგ კურსებში დასკვნით გამოცდაზე გასვლის დამატებითი წინაპირობა პორტფოლიოს დავალებების (ფასდება Pass/Fail) დამაკმაყოფილებლად შესრულებასთან დაკავშირებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.1. ქვესტანდარტი

- დაზუსტდეს რიგი სასწავლო კურსების წინაპირობები კურსის შინაარსთან მიმართებაში;

- გადაიხედოს სასწავლო მასალად ცხოველის ორგანოების მაკროპრეპარატების გამოყენების პრაქტიკა, სტუდენტის მიერ გაკვეთის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, უკანასკნელი მეთოდის კეთილსაიმედობის, უვნებლობის, ჰიგიენური მოთხოვნებისა და ცხოველთა საექსპერიმენტოდ გამოყენების წესების დაცვის თვალსაზრისით.
- შემუშავებულ იქნას პორტფოლიო I და პორტფოლიო II განხორციელების პირობების, შეფასების, შემფასებლების შესახებ ჩარჩო/აღწერილობა ან სილაბუსი, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას თუ როგორ უნდა აითვისოს შესაბამისი კრედიტი.

2.3. ქვესტანდარტი

- o დაზუსტდეს რიგი სასწავლო კურსების წინაპირობები კურსის შინაარსთან მიმართებაში;
- o გადაიხედოს სასწავლო მასალად ცხოველის ორგანოების მაკროპრეპარატების გამოყენების პრაქტიკა, სტუდენტის მიერ გაკვეთის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, უკანასკნელი მეთოდის კეთილსაიმედობის, უვნებლობის, ჰიგიენური მოთხოვნებისა და ცხოველთა საექსპერიმენტოდ გამოყენების წესების დაცვის თვალსაზრისით.
- o შემუშავებულ იქნას პორტფოლიო I და პორტფოლიო II განხორციელების პირობების, შეფასების, შემფასებლების შესახებ ჩარჩო/აღწერილობა ან სილაბუსი, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას თუ როგორ უნდა აითვისოს შესაბამისი კრედიტი.

4.2. ქვესტანდარტი

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გადამზადება განხორცილედეს რეგულარულად სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში ყოველი 2 წლის განმავლობაში მედიცინის დარგობრივი დოკუმენტის ადამიანური რესურსისადმი სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე:

1. არგუმენტირებული პასუხი გაცემულია რეკომენდაციაზე - პროგრამაში 1კრ. და 1,5 კრედიტის მქონე სასწავლო კურსების მოცულობის დაზუსტების შესახებ, თუმცა შევნიშნავთ, რომ **2.3. სასწავლო კურსის** კომპონენტის შეფასების ნაწილში აღწერილია

1კრ. და 1,5 კრ. მქონე სასწავლო კურსების არსებობა პროგრამაში, რეკომენდაცია კი დასკვნის პროექტში არ იძებნება. შესაბამისად, კომპონენტის შეფასება უცვლელია.

რეკომენდაციები

**1.2. ქვესტანდარტთან მიმართებაში:**

o პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1 თანახმად, *შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა და* **2.3. ქვესტანდარტთან მიმართებაში:**

o მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორ მულირება ახლანდელ დროში; დაკორექტირდეს სწავლის შედეგებში კომპეტენციების განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" შესაბამისად;

დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციაზე პასუხში მიუთითებს სილაბუსების ნაწილში სასწავლო კურსების შედეგების ფორმულირების ტექნიკური ხასიათის ხარვეზს და შეუსაბამობას მათ ინგლისურ ვერსიებთან.

*მტკიცებულება: ორივე რეკომენდაცია შენარჩუნებულ იქნა, ვინაიდან ის გულისხმობს როგორც სასწავლო კურსების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების ფორმულირებას სამი კომპეტენციის სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.*

რეკომენდაცია

**2.1. ქვესტანდარტთან მიმართებაში:** დაზუსტდეს და გახდეს გამჭვირვალე პროგრამაზე მიღების წინაპირობა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიაში ჩარიცხული აპლიკანტებისათვის მათგან დამატებით მოთხოვნილი პრაქტიკული უნარების, მეტყველების, მხედველობისა და სმენის უნარების შეფასების მექანიზმების დაკონკრეტების სახით.

*დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში პასუხი არ არის გაცემული. რეკომენდაცია შენარჩუნებულ იქნა ექსპერტთა დასკვნაში.*

რეკომენდაცია

**2.3. ქვესტანდარტთან მიმართებაში:**

მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებს განესაზღვროს კონკრეტული მიზნები კურსის შინაარსთან შესაბამისობაში; ამავე კურსებში დაზუსტდეს „ცოდნის" კომპეტენცია მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებში შინაარსის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი ფორმულირება.

დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში შენიშნავს, რომ მსგავსი ხარვეზი ეხება სასწავლო კურსების სილაბუსების მხოლოდ 5 %.

*რეკომენდაცია შენარჩუნებულ იქნა ექსპერტთა დასკვნაში.*

რეკომენდაცია
**2.3. ქვესტანდარტთან მიმართებაში:**
o რეკომენდირებულია 2015 წლამდე გამოცემული ლიტერატურის განახლება;

არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულება შენიშნავს, რომ ქართულ ენაზე განახლებული ლიტერატურა არ არსებობს, თუმცა უახლესი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში.

*რეკომენდაცია შენარჩუნებულ იქნა ექსპერტთა დასკვნაში.*

**რეკომენდაცია 2.6. ქვესტანდარტთან მიმართებაში:**
o მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები კურსის შინაარსის მიხედვით, სხვადასხვა კომპონენტში ქულების დაგროვების მექანიზმი გახდეს გამჭვირვალე სტუდენტისთვის მათთან უკუკავშირის მიზნით;

დაწესებულების არგუმენტი: კონკრეტული ფორმატის შეფასების კრიტერიუმები უნიფიცირებული და სტანდარტიზებული კრიტერიუმებით ფასდება, რიგი შეფასების ფორმატი მოითხოვს „ჩექლისტების" არსებობას და დაწესებულება მზადაა წარმოადგინოს უკანასკნელი. ვინაიდან *რეკომენდაცია არ ეხება მხოლოდ* „ჩექლისტების" საშუალებით სტანდარტიზებულ *შეფასების კომპონენტებს, იგი შენარჩუნებულ იქნა ექსპერტთა დასკვნაში.*

**რეკომენდაცია 2.6. ქვესტანდარტთან მიმართებაში:**
oრეკომენდირებულია კლინიკურ კურსებში, განსაკუთრებით დამამთავრებელ წელს შემაჯამებელი შეფასების მიზნით დასკვნითი გამოცდების ჩატარება არა მხოლოდ ტესტირებითა და ზეპირი გამოცდით, არამედ ცოდნისა და კლინიკური უნარების შეფასებისათვის შესაბამისი თანამედროვე მეთოდოლოგიით;

არგუმენტირებული პოზიცია: მეექვსე კურსზე სტუდენტები მუშაობენ რეალურ პაციენტებთან, პროცესი ფასდება თანამედროვე მეთოდებით (WPBA; Mini CEX; CBD;DOPS; MSF 360) შედეგების აკუმულირება ხდება პორტფოლიოში და პორტფოლიოს კომისია აფასებს კომპეტენციების მიღწევას კურსის ბოლოს.

მტკიცებულება: ვინაიდან სწავლების მე-6 წელს არაერთ კლინიკურ კურსში (მეანობა-გინეკოლოგია, ქირურგია, შინ. სნეულებათა დიფ. დიაგნოსტიკა II) დასკვნითი გამოცდა ორ-კომპონენტიანია და მოიცავს ტესტირებას და ზეპირ გამოცდას, *რეკომენდაცია შენარჩუნებულ იქნა ექსპერტთა დასკვნაში.*

რეკომენდაცია 2.6. ქვესტანდარტთან მიმართებაში:

დაზუსტდეს რიგ კურსებში დასკვნით გამოცდაზე გასვლის დამატებითი წინაპირობა პორტფოლიოს დავალებების (ფასდება Pass/Fail) დამაკმაყოფილებლად შესრულებასთან დაკავშირებით.

არგუმენტირებული პოზიცია: თსა მიერ შექმნილია პორტფოლიოს კონცეფცია, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი დავალებების შინაარსი, შეფასების კრიტერიუმები და მათი მინიმალური დამაკმაყოფილებელი შეფასება Pass, მედიცინის დარგობრივი დოკუმენტი კი არ განსაზღვრავს პორტფოლიოს დანერგვის სტანდარტებსა და პრაქტიკულ ასპექტებს.

*მტკიცებულება*: სტუდენტის შუალედური შეფასების მინიმალური ბარიერი წარმოადგენს 36 ქულას, თუმცა, რიგ საგნებში დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად შუალედური შეფასებებით დაგროვილი მინიმალური ქულის გარდა დამატებითი წინაპირობის არსებობა- პორტფოლიოს დავალებების შეფასების Pass/Fail სახით დასაზუსტებელი და გამჭვირვალე უნდა იყოს სტუდენტისათვის.

*რეკომენდაცია შენარჩუნებულ იქნა ექსპერტთა დასკვნაში.*

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>წარმოდგენილი დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი სა-განმანათლებლო პროგრამის მიზანია: დიპლომირებული მედიკოსების მომზადება საზოგადოებაში ექიმის როლისა და კომპეტენციების გათვალისწინებით, მათი აღჭურვა საერთაშორისო სტანდარტების და განახლებული, მტკიცებულებაზე დაფუძნებული ცოდნის შესაბამისად; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურისა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერება; კლინიკური, კომუნიკაციური და კვლევითი უნარების ჩამოყალიბება, სამედიცინო პრაქტიკისთვის შესაფერისი მაღალი ეთიკური ღირებულებების და მიდგომების დამკვიდრება, თვითანალიზის უნარის განვითარება და სიცოცხლის მანძილზე სწავლის მოტივაცია.<br>საგანმანათლებლო პროგრამის გაცნობის შემდგომ დადასტურდა, რომ პროგრამის მიზნებს ძირეული ცვლილება აკრედიტაციის შემდეგ არ განუცდია. პროგრამის მიზანი ბმაშია დაწესებულების მისიასთან.<br>***თსა-ს მისია:*** *“თსა, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ინოვაციური მიდგომით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცოდნის გამოყენებით უზრუნველყოფს ეროვნული და საერთაშორისო ჯანდაცვის მიმართულებით პროფესიონალების მომზადებას. ამავდროულად, კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელებით წვლილი შეაქვს საქართველოს საზოგადოების განვითარებაში.”*<br>დაწესებულების ხედვა მიზნად ისახავს შეუქმნას სტუდენტებს, მკვლევარებს და აკადემიის პერსონალს მიმზიდველი გარემო სწავლის, კვლევისა და მუშაობისათვის. სამედიცინო სფეროს მუდმივი ცვალებადობისა და თანამედროვე გამოწვევების პასუხად, დაიმკვიდროს ადგილი როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო რუკაზე.<br>აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზანი შეესაბამება უმაღლესი განათ-ლების მე-7 დონეს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- დაწესებულების მისია;
- https://tma.edu.ge/geo/missiongeo

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან'

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგი კავშირშია დაწესებულების მისიასა და ღირებულებებთან და გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან.

საგანამანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ერთობლიობა

უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ მეშვიდე საფეხურის სათანადო დონით.

თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეიცვალა, კერძოდ მედიცინის დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნების თანახმად, ამასთანავე, პროგრამაში განხორციელდა ცვლილება.

პროგრამის სწავლის შედეგები ეფუძნებაWFME და Tuning პროექტის სტანდარტებს და კომპეტენციების ჩარჩოს - The CanMEDs Roles Framework. კურსდამთავრებულს, როგორც **მედიცინის ექსპერტს** გათავისებული აქვს ექიმის 6 როლი: კომუნიკატორი, კოლაბორატორი, მენეჯერი, ჯანმრთელობის ადვოკატი, სწავლული და პროფესიონალი;
თითოეული კომპეტენციის დონე განსაზღვრულია მილერის პირამიდის მიხედვით (I – IV დონე).
კურსდამთავრებული იყენებს ბიოსამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების ცოდნას კლინიკური პრობლემების გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღებისას: აანალიზებს დაავადების პათოგენეზს, აკავშირებს მას დაავადების კლინიკურ გამოვლინებასთან, დიაგნოსტიკის, დიფერენციალური დიაგნოზის, მკურნალობის, მონიტორინგის და პრევენციის პრინციპებთან; გამომუშავებული აქვს დარგობრივი **უნარების** ისეთ სპექტრი, როგორიცაა: პაციენტისათვის კონსულტაციის გაწევა, კლინიკური შემთხვევის შეფასება, პაციენტის ფიზიკალური გასინჯვა, დიფერენციული დიაგნოზის გატარება, მონაცემების შეგროვება, მათი ინტერპრეტაცია და ანალიზი, სწორი დიაგნოსტიკა, რაციონალურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ხარჯთეფექტურ დანიშნულების განსაზღვრა, პაციენტზე ორიენტირებული მკურნალობის დანიშვნა, პაციენტისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენა გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დროს, რიგი პრაქტიკული პროცედურების უსაფრთხოდ და მაღალკვალიფიციურ დონეზე შესრულება:

გამოკვლევების დანიშვნა, გატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა, მედიკამენტების გამოწერა, პრაქტიკული პროცედურების ჩატარება, ეფექტური კომუნიკაცია სამედიცინო კონტექსტში, სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივიამართლებრივი პრინციპების გამოყენება, პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება, სამედიცინო კონტექსტში უახლესი ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, სამეცნიერო საქმიანობის პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში, ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართულობა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტურად მუშაობა, ეფექტური კომუნიკაციის დამყარება პაციენტთან და პაციენტის ოჯახის წევრებთან ეთიკური პრინციპების დაცვით, სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ყველა პროვაიდერთან სრულყოფილი კომუნიკაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება. ეფექტური კომუნიკაცია მედიასა და სამართლებლივი ორგანოების წარმომადგენლებთან; კლინიკურ პრაქტიკაში საქართველოს და საერთაშორისო სამართლებრივი და პროფესიონალური რეგულაციების გამოყენება, კონფიდენციალობის დაცვა, კვლევითი აქტივობების განხორციელება, სამეცნიერო-

| |
|---|
| კვლევითი მეთოდოლოგიის ცოდნის გამოყენება და კვლევის შედეგების ანალიზი. კურსდამთავრებული ეწევა თვით-სწავლასა და განვითარებას, დამოუკიდებლად მართავს პერსონალურ და პროფესიონალურ წინსვლას, გააჩნია სიცოცხლის მანძილზე მუდმივი სწავლის მოტივაცია, თვითგანვითარების გეგმა, კურსდამთავრებული, როგორც პროფესიონალი ამჟღავნებს ექიმის ზოგად მორალურ ღირებულებებს და აქვს უნარი იმოქმედოს საერთაშორისო კონტექსტში.<br><br>აღნიშნული კომპეტენციები სრულად ფარავს ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებს და პასუხობს უმაღლესი სამედიცინო განათლების ეროვნულ დარგობრივ მახასიათებელს, თუმცა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1. თანახმად, კვალიფიკაციის დონე - კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტი, აერთიანებს „ცოდნითა და გაცნობიერებით“, „უნარით“ და „პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით“ აღწერილ, განზოგადებულ სწავლის შედეგებს – აღმწერებს, *<u>შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა,</u>* შესაბამისად, სასურველი იქნებოდა პროგრამასა და სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების აღწერისას აღნიშნულის გათვალისწინება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;<br>o საგანმანათლებლბო პროგრამის შესაბამისობის თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>o პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1 თანახმად, *<u>შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.</u>*<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში არსებული მოთხოვნები არ იწვევს ცვლილებებს მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამების დაშვების წინაპირობაში, წარმოდგენილ ინგლისურენოვან პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეები ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ქართული ენის, ინგლისური ენის და ბიოლოგიის სავალდებულო გამოცდებს და ქიმიის/ ფიზიკის/მათემატიკის ერთ-ერთ არჩევით გამოცდას,<br>საშუალო განათლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები პროგრამაზე დაიშვებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ |

| |
|---|
| დადგენილი წესის შესაბამისად.<br>საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად საჭიროა ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება B2 დონეზე (ენის ფლობის დონე განისაზღვრება საერთო ევროპული ჩარჩოს მიერ დადგენილი დონეებთან შესაბამისობაში: სწავლა, სწავლება, შეფასება). ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის, ინგლისურენოვანი საშუალო განათლების სერტიფიკატის ან პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ინგლისური ენის გამოცდის, ონლაინ (მაგ. Skype) ინტერვიუს შედეგად. საშუალო განათლების მქონე აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ ნიშნების ფურცელი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების მითითებით (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა).<br>საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლიათ შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირებს იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული არ აქვთ პროფესიული დარგის მიერ მოთხოვნილი პრაქტიკული უნარები.<br>კანდიდატს უნდა შეეძლოს პაციენტის დეტალური ობზერვაცია როგორც დისტანციურად, ასევე ახლო მანძილიდან. ობზერვაცია მოითხოვს მხდველობის, სმენის, და სომატური მგრძნობელობის ფუნქციონალურ გამოყენებას. კანდიდატს უნდა შეეძლოს ეფექტური ზეპირსიტყვიერი, არავერბალური და წერილობითი კომუნიკაცია პაციენტთან და გუნდის წევრებთან, ამისათვის მას სჭირდება მეტყველების, მხედველობისა და სმენის უნარი.<br>აღნიშნული ჩანაწერი ბადებს დამატებით შეკითხვებს პროგრამის წინაპირობასთან დაკავშირებით, ჩაუტარდებათ თუ არა დამატებითი საუნივერსიტეტო გამოცდა იმ პირებს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოიპოვებენ აკადემიაში სწავლის უფლებას და რა მექანიზმებით მოხდება, მოთხოვნილი პრაქტიკული უნარების დემონსტრირება, მეტყველების, მხედველობისა და სმენის უნარების შეფასება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br><br>დაზუსტდეს და გახდეს გამჭვირვალე პროგრამაზე მიღების წინაპირობა აპლიკანტებისათვის მათგან დამატებით მოთხოვნილი პრაქტიკული უნარების, მეტყველების, მხედველობისა და სმენის უნარების შეფასების მექანიზმების დაკონკრეტების სახით.<br><br>o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია, აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 6 აკადემიურ წელს, 12 სემესტრს და მოიცავს 360 კრედიტს (1 კრედიტი მოიცავს 30 ასტრონომიულ საათს), საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად განსაზღვრულია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 348 კრ. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები 12 კრ.
კლინიკური უნარების გამომუშავებას ეთმობა - 24კრ, სამეცნიერო კვლევითი კომპონენტია - 16,5კრ.
კურიკულუმი მოიცავს სასწავლო კურსებსა და ინტეგრირებულ მოდულებს (ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია). ცალკე კომპონენტები აქვს დათმობილი კლინიკური და სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

პროცესი წარმოდგენილია სამ ფაზად:
• I **ფაზა** - საბაზისო, ქცევითი და სოციალური მეცნიერებები-დაინტეგრირებული კლინიკურ დისციპლინებთან (სწავლების 1-3 წლები). კურსები დაინტეგრირებულია

ჰორიზონტალურად და ორგანოთა სისტემების საფუძველზე და ქმნიან ორ ჯგუფს: 1. ნორმა - ნორმალური სტრუქტურა და ფუნქცია (ანატომია, ემბრიოლოგია, ჰისტოლოგია, ფიზიოლოგია) და 2. პათოლოგია - დაავადებისა და მკურნალობის საფუძვლები (პათოლოგია და ფარმაკოლოგია).

ვერტიკალური ინტეგრაცია საბაზისო და კლინიკურ დისციპლინებს შორის მოიცავს: SP პაციენტის ფიზიკურ გასინჯვას, მასთან კომუნიკაციას, კლინიკური კორელაციებისა და შემთხვევების განხილვას ინტეგრირებული მოდულების სწავლებისას, აგრეთვე, გუნდურ

მუშაობაზე დაფუძნებული სწავლების TBL (Team Based Learning) და შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური მსჯელობის CBCR (Case Based Clinical Reasoning) ფორმატს, სადაც ხდება კლინიკური შემთხვევის განხილვა.

• II **ფაზა** - კლინიკური მეცნიერებები -დაინტეგრირებული ბაზისურ დისციპლინებთან (სწავლების მე-4-მე-5 წლები)

• III **ფაზა** - ზოგადი სპეციალიზაცია (სწავლების მე-6 წელი)

I - *საბაზისო ეტაპზე* სტუდენტები შეისწავლიან ადამიანის ორგანოების და ორგანოთა სისტემების ნორმალურ სტრუქტურას და პროცესებს, პათოლოგიურ მორფოლოგიას და ძირითად პათოლოგიურ პროცესებს, მათ შორის ინფექციების საფუძვლებს, პაციენტის ფიზიკალური გასინჯვის საფუძვლებს, კლინიკური ჩანაწერების წარმოებას და მოწესრიგებულად შენახვას, პროფესიული კომუნიკაციის პრინციპებს, სამედიცინო ეთიკას და ფსიქოლოგიას.

II - კლინიკურ ეტაპზე სტუდენტები იღებენ ღრმა და თეორიულ ცოდნას დაავადებებისა და სინდრომების გამოვლინებების, მკურნალობის მეთოდების შესახებ, სტუდენტები ივითარებენ კლინიკურ კომპეტენციებს. აღნიშნულ ეტაპზე ბაზისური ბიოსამედიცინო საგნების ცოდნა დაინტეგრირებულია კლინიკურ დისციპლინებში.

III - სპეციალიზაციის ეტაპზე სტუდენტები განაზოგადებენ შეძენილ ცოდნას, შეისწავლიან მონაცემების შეგროვებასა და ინტერპრეტაციას, დიფერენციალური დიაგნოზის გატარებას, გამოკვლევისა და მართვის გეგმას.

სტუდენტები სხვადასხვა ფორმატით შეისწავლიან კვლევის დიზაინის ზოგად თეორიულ პრინციპებს, კვლევასთან დაკავშირებული ეთიკის საკითხებს, ბიოსტატისტიკასა და კვლევის საუძვლებს, სწავლების ბოლო წელს სტუდენტები ანხორციელებენ კველვით პროექტს ლიტერატურული მიმოხილვის სახით და სწავლობენ კვლევითი პროექტის შედგენას.
პროგრამის დაგეგმვისას და კრედიტებით გაანგარიშებისას გათვალისწინებულია თითოეული კომპონენტის შინაარსობრივი მოცულობა და სტუდენტის რეალური დატვირთვა. პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან, უკავშირდება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსიდან გამომდინარე, მიღწევადია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები, რომლებიც შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და მასთან მიმართებაში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების მიღწევა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.3. სასწავლო კურსი** |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის საერთო სწავლის შედეგების მიღწევას, მათი სწავლის შედეგების ასახვა ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგებში. პროგრამის სწავლის შედეგებთან მათი შესაბამისობის დასადგენად შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა.<br><br>პროგრამის შემადგენელი კურსების/მოდულების სილაბუსები მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის/მოდულის დასახელება და სტატუსი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის განმახორციელებელი, სასწავლო კურსის ფორმატი, კურსის მიზანი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, კურსის შინაარსი, სასწავლო რესურსები, |

| |
|---|
| თუმცა პროგრამაში არის 1 კრედიტის მოცულობის მქონე კურსი (Integrated Module - Introduction to Clinical Medicine IV(ICM IV with TBL, Capstone Course I, Capstone Course II) და 1,5 კრ. ინტეგრირებული მოდული (Integrated Module- ICMII with TBL).<br>„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის განხილვის პროცესში სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგები დაკორექტირდა მოთხოვნისდა მიხედვით და მასში აისახა სამი კომპეტენცია, რომელიც ერთიანობაში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, სილაბუსების გარკვეული კორექტირების მიუხედავად, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:<br>o მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსების მიზნები განზოგადებულია და განსაზღვრულია ერთნაირად (საოჯახო მედიცინა I, II; პედიატრია I, II; III)<br>o „ცოდნის“ კომპეტენცია მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებში ფორმულირებულია აბსოლუტურად იდენტურად, შესაბამისად, პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში სწავლის შედეგები ანალოგიურია.<br>o რიგ შემთხვევებში დასაზუსტებელია კურსებისა და ინტეგრირებული მოდულების წინაპირობები კურსის შინაარსიდან გამომდინარე, მაგალითად: სტრუქტურის შემსწავლელი კურსის შემთხვევაში ბიოქიმიის სახით, იმუნოლოგიის შემთხვევაში - ციტოლოგია, ემბრიოლოგია ზოგადი ჰისტოლოგიის სახით.<br>o რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია სასწავლო მასალად ცხოველის ორგანოების მაკროპრეპარატები, რათა სტუდენტმა შეიძინოს მათი გაკვეთის უნარ-ჩვევები, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, საეჭვოა უკანასკნელი მეთოდის კეთილსაიმედობა, უვნებლობისა და ჰიგიენური მოთხოვნების თვალსაზრისით, სტუდენტის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკების ჩათვლით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>o მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებს განესაზღვროს კონკრეტული მიზნები კურსის შინაარსთან შესაბამისობაში; ამავე კურსებში დაზუსტდეს „ცოდნის“ კომპეტენცია მემკვიდრეობის პრინციპის მქონე სასწავლო კურსებში შინაარსის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისი ფორმულირება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>o დაზუსტდეს რიგი სასწავლო კურსების წინაპირობები კურსის შინაარსთან მიმართებაში;<br>o გადაიხედოს სასწავლო მასალად ცხოველის ორგანოების მაკროპრეპარატების გამოყენების პრაქტიკა, სტუდენტის მიერ გაკვეთის უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, უკანასკნელი მეთოდის კეთილსაიმედობის, უვნებლობის, ჰიგიენური მოთხოვნებისა და ცხოველთა საექსპერიმენტოდ გამოყენების წესების დაცვის თვალსაზრისით. |

o შემუშავებულ იქნას პორტფოლიო I და პორტფოლიო II განხორციელების პირობების, შეფასების, შემფასებლების შესახებ ჩარჩო/აღწერილობა ან სილაბუსი, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას თუ როგორ უნდა აითვისოს შესაბამისი კრედიტი.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკული კლინიკური უნარების გამომუშავების შესაძლებლობა 24 კრედიტის მოცულობით კლინიკური უნარების სასწავლო კურსებში, აღნიშნული მიზნებისათვის გამოყენებულია დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
თსა-ს გააჩნია კლინიკური უნარებისა და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ცენტრი, სადაც სტუდენტებს აქვთ საშუალება განავითარონ კლინიკური, კომუნიკაციის უნარები; სტანდარტიზებულ/სიმულაციურ SP პაციენტზე გასწიონ პაციენტის კონსულტირება; ფიზიკური გამოკვლევა და კლინიკურ მსჯელობა, მათ შორის: მონაცემების გაანალიზება და დიაგნოზის დასმა, მკურნალობის გეგმის შედგენა, მკურნალობის დანიშვნა და მონიტორინგი.
კომუნიკაციის უნარების სწავლებას მოიცავს სხვადსხვა დისციპლინებს: ICM-I-II-III-IV-V მოდულები, ,,კომუნიკაციის უნარები”, „სამედიცინო ფსიქოლოგია“, „ქცევითი მეცნიერებები“, „შინაგანი დაავადებების დიაგნოსტიკა I და II“, ასევე, ყველა კლინიკური დისციპლინას, რომლებიც კურაციული სისტემით ხორციელდება კლინიკაში.
